საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება N 01-08/130

ქ. ბათუმი 14 ოქტომბერი, 2018 წ

2018-2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ,,ერაზმუს+" გაცვლითი პროგრამაში მონაწილე ბსუ-ს სტუდენტთა შესარჩევი კონკურსის ჩატარების წესისა და საკონკურსო კომისიის დამტკიცების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლისა და ბსუ-ს უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსის მოადგილის ნანა ყურშუბაძის 2018 წლის 05 ოქტომბრის MES 2 18 01279933 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს კონკურსი 2018-2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ,,ერაზმუს+" გაცვლითი პროგრამის ფარგლებში, უცხო ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამებზე (ინფორმაცია განთავსებულია ბსუ-ს ვებგვერდზე, ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის ველში) სტუდენტთა მობილობის განხორციელების მიზნით ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა შერჩევის მიზნით და განისაზღვროს შემდეგი საკონკურსო ვადები:
   ა) **უცხო ენის** (ინგლისურ/გერმანულ /ფრანგულ ენებში) **გამოცდაზე** გასვლის მსურველთა განცხადებების მიღება ბსუ-ს კანცელარიის მეშვეობით (პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენით) - 2018 წლის 10 ოქტომბრიდან 2018 წლის 17 ოქტომბრამდე (18:00 საათამდე);
   ბ) **გამოცდა უცხო ენაში** (ტესტირება: B1 დონის განმსაზღვრელი - ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის; B2 დონის განმსაზღვრელი - მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის) - **2018 წლის 18-19 ოქტომბერი;**
   გ) კონკურსში მონაწილეობის მსურველთა საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება ელექტრონულ ბმულზე (საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის დახმარებით) http://registration.bsu.ge/Results-1.php და მატერიალური სახით ბსუ-ს კანცელარიის მეშვეობით - **2018 წლის 20 ოქტომბრიდან 02 ნოემბრამდე** (10:00 სთ-დან 18:00 საათამდე, შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინოს

კონკურსანტებმა, რომლებიც გადალახავენ უცხო ენის გამოცდისათვის დადგენილ ბარიერს;

დ) საკონკურსო დოკუმენტაციის შემოწმება და შეფასება - **2018 წლის 05-06 ნოემბერი** - სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის (საკონკურსო კომისიის) მიერ.

ე) გასაუბრება კონკურსანტებთან - **2018 წლის 07-09 ნოემბერი.** გასაუბრება ჩატარდება საკონკურსო კომისიასთან (მისამართი: ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ.№35, ბსუ-ს პირველი კორპუსი, ოთახი №35). გასაუბრების ზუსტი დრო დამატებით ეცნობებათ სტუდენტებს ბსუ-ს ვებგვერდის ან/და მათ მიერ საკონკურსო განაცხადში მითითებულ ტელეფონებზე/ელექტრონულ ფოსტაზე.

2. დამტკიცდეს 2018-2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერასმუს+ გაცვლითი პროგრამაში მონაწილე ბსუ-ს სტუდენტთა შესარჩევი კონკურსის ჩატარების თანდართული წესი **(დანართი 1).**

3. დამტკიცდეს საკონკურსო კომისიის ძირითადი შემადგენლობა:

ა) თამარ სირაძე - რექტორის მოადგილე (თავმჯდომარე);

ბ) გიორგი თავამაიშვილი - სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსი (თავმჯდომარის მოადგილე);

გ) ნანა ყურშუბაძე - სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;

დ) ანზორ ბერიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ე) ქეთევან დევაძე - სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი (კომისიის მდივანი).

4. საკონკურსო კომისიის შემადგენლობას; სათათბირო ხმის უფლებით, შესაბამისი ფაკულტეტის სტუდენტების გასაუბრების ეტაპზე დაემატოს ამ ფაკულტეტის დეკანი (როსტომ ბერიძე - ტურიზმის ფაკულტეტიდან, ლელა თურმანიძე-ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტიდან, მარინა ქორიძე-საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტიდან, ვლადიმერ ღლონტი-ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტიდან, ადამ მახარაძე- იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან, მარინე გიორგაძე-ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან და გაიოზ ფარცხალაძე-ტექნოლოგიური ფაკულტეტიდან).

5. საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმის საფუძველზე კომისიამ დაადგინოს გასაუბრების განრიგი და მიიღოს კონკურსის საორგანიზაციო საკითხთან დაკავშირებული სხვა გადაწყვეტილებები, რასაც არ ითვალისწინებს წინამდებარე ბრძანება, მაგრამ გამომდინარეობს საგრანტო პროექტის მოთხოვნებიდან.

6. უცხო ენაში გამოცდების ჩატარება, ასევე გამოცდის ჩატარების დროისა და ადგილის შესახებ ინფორმაციის საჯაროობა, უზრუნველყონ ენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრმა და სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტმა ერთობლივად, მათი კომპეტენციების შესაბამისად.

7. წინამდებარე ბრძანების აღსრულებაზე კონტროლი განახორციელოს რექტორის მოადგილემ, პროფესორმა თამარ სირაძემ.
8. ბრძანება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს და პერსონალს.
9. ბრძანების ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდსა (კონკურსების ველში) და საინფორმაციო დაფებზე (კანცელარიასთან და ფაკულტეტებზე) განთავსება უზრუნველყოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურმა და კანცელარიამ, მათი კომპეტენციების შესაბამისად.
10. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მ. ხალვაში**

ბსუ-ს რექტორის 2018 წლის

11 ოქტომბრის №01-08/130 ბრძანების

დანართი №1

2018-2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერასმუს+ გაცვლითი პროგრამაში მონაწილე ბსუ-ს სტუდენტთა შესარჩევი კონკურსის ჩატარების წესი

1. წინამდებარე წესი არეგულირებს 2018-2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერასმუს+ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა (შემდეგში „კანდიდატი") შესარჩევი კონკურსის ჩატარების პროცედურებს.
2. კონკურსი მოიცავს 3 ეტაპს (საერთო შეფასება - 100 ქულა), მათ შორის: 40 ქულა - უცხო ენის გამოცდა; 40 ქულა - კანდიდატების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შეფასება; 20 ქულა - გასაუბრება.

I ეტაპი: **უცხო ენის 100 ქულიანი ტესტი** = საკონკურსო ქულის მაქსიმალურ შეფასება **40 ქულა.** უცხო ენის ტესტის ბარიერია არანაკლებ 71 ქულა.

II ეტაპი: კანდიდატების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შეფასება (მაქსიმალური შეფასება - 40 ქულა)

შეფასების კომპონენტები	**კომპონენტის მაქსიმალური ქულა**	**კანდიდატის შეფასების ქულა კომპონენტში**
აკადემიური მოსწრება	30 (=აკადემიური მოსწრების 100 ქულას)	
სამოტივაციო წერილი	5 (0-5)	
CV	5 (0-5)	

III ეტაპი: **გასაუბრება** (მაქსიმალური 20 ქულა)

შეფასების კომპონენტი	**კომპონენტის მაქსიმალური ქულა**	**კანდიდატის შეფასების ქულა კომპონენტში**
დარგობრივი და კომუნიკაციის უნარ-ჩვევები; პრეზენტაბელურობა; ემოციური და ფსიქოლოგიური მზაობა	20	

3. პრიორიტეტები მიენიჭება კანდიდატს, რომელსაც:

ა) არ უსარგებლია ევროკავშირის გაცვლითი პროგრამით;
ბ) აქვს სოციალურ-ეკონომიური, ჯანმრთელობის პრობლემები (დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით/ცნობით).

4. კანდიდატის დოკუმენტაცია არ განიხილება შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ არასრულად არის შევსებული აპლიკაცია (არ ერთვის CV ევროპასის ფორმატით, სამოტივაციო წერილი, აკადემიური მოსწრების დამადასტურებელი ცნობა ან სხვა საჭირო დოკუმენტაცია);

ბ) თუ არ აქვს წარმოდგენილი სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული საგნების თანხვედრა მშობლიურ და მიმღებ უნივერსიტეტებში (სასწავლო ხელშეკრულება/ხელშეკრულებები) ;

გ) თუ კანდიდატს შეჩერებული აქვს ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი (ან 2018-2019 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის აკადემიური ან/და ადმინისტრაციული რეგისტრაცია არ ექნება გავლილი 2018 წლის 1 ნოემბრამდე).

დ) თუ კანდიდატი ბაკალავრიატის პირველი და ბოლო, სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის პირველ და ბოლო ან მაგისტრატურის მეორე სასწავლო წლის სტუდენტია;

ე) კანდიდატმა ვერ გადალახა უცხო ენის გამოცდისათვის დადგენილი ბარიერი.

5. კონკურსთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების (ტესტირების, საბუთების გადარჩევის, გასაუბრების განრიგის და გასაუბრების შედეგების) ბსუ-ს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებას უზრუნველყოფს ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი (შესაბამის ველებში: „კონკურსები“ და სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის სიახლეების ველში).
6. ბსუ-ს საკონკურსო კომისიის მუშაობის შედეგები გაიგზავნება მიმღებ უნივერსიტეტებში არაუგვიანეს 2018 წლის 15 ნოემბრისა.
7. კონკურსის საბოლოო შედეგები გამოქვეყნდება ბსუ-ს ვებგვერდზე და სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტთან არსებულ საინფორმაციო დაფაზე, ბსუ-ს საკონკურსო კომისიის საერთო შეფასებისა და მიმღები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილების საფუძველზე.